



გამოფენა „უწყვეტი მრავალფეროვნება“

15 ნოემბერს 16:00 საათზე ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მხარდაჭერით, ტოლერანტობის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, საქართველოს ეროვნულ არქივში აწყობს გამოფენას „უწყვეტი მრავალფეროვნება.“

გამოფენა ეწყობა კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან, საქართველოს ეროვნულ არქივთან, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება 70-მდე დოკუმენტი (დედნები და ასლები), რომლებიც საქართველოს რელიგიურ და ეთნიკურ მრავალფეროვნებას ასახავს და წარმოაჩენს ტოლერანტობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციას. XVIII-XX საუკუნის ქართველ მწერალთა, საერო და სასულიერო მოღვაწეთა პირადი არქივები, პრესაში გამოქვეყნებული წერილები და მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები.

გამოფენაზე წარმოდგენილი ექსონატების მნიშვნელოვანი ნაწილი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება. X საუკუნის პარხლის მრავალთავი, რომელშიც შემონახულია „მუშანიკის წამების“ ხელნაწერი, XVII საუკუნეში ქართლის მეფის გიორგი XI-ის დაკვეთით გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“; XVII საუკუნეში ქართლის მეფის, როსტომის მეუღლის, მარიამ დედოფლის დაკვეთით გადაწერილი „ქართლის ცხოვრება“; ლაილაშის ბიბლიის (X ს.) ასლი; მუსლიმური, სომხური, ლათინური, სირიული რელიგიური ტექსტები; „ვისრამიანი“ (XVIII საუკუნის ხელნაწერი); „ბალავარიანი“ (XVII საუკუნის ხელნაწერი); სულხან-საბაორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“, მისივე ავტოგრაფით (XVIII ს); ვაჟა-ფშაველას ხელნაწერი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ ავტოგრაფით; იტალიელი მისიონერის, დონ კრისტოფორო დე კასტელის ჩანახატები, რომლებიც საქართველოში კათოლიკეების ცხოვრებას აღწერს; საქართველოში მოღვაწე პოეტისა და აშუღის, საიათნოვას ლექსები;

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული XIX-XX საუკუნეებში საქართველოში სხვადასხვა რელიგიური და ეთნიკური ჯგუფის ცხოვრებისა და საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტები; ასევე, თანამედროვე პრესის ნიმუშები, რომლებიც ტოლერანტობის კულტურის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და სხვა საინტერესო დოკუმენტები. ილია ჭავჭავაძის, სერგი მესხის, ტიციან ტაბიძის, აკაკი ბაქრაძის, დავით ბაახოვის, მემედ აბაშიძის წერილები, რომლებიც მრავალფეროვან და ტოლერანტულ გარემოს წარმოაჩენს; დიმიტრი ერმაკოვის მიერ გადაღებული ეთნიკური და რელიგიური სიჭრელის ამსახველი ფოტოები;

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

მარიამ ჯაბიძე

mariamjavidze@gmail.com

598 175 777; 577 977 199

თამარ გურგენიძე

friends@manuscript.ac.ge

599 899 628

მეფე ერეკლე II-ს (XVIII) მიერ მიღებული დეკრეტი, რომელიც ყველა რელიგიურ გაერთიანებას, მათ შორის კათოლიკეებს თანასწორპირობებში აყენებს;

ღონისძიებას დაესწრებიან სახელმწიფო უწყებების, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები.

შეგახსენებთ, რომ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არის უდიდესი ხელნაწერი მემკვიდრეობის საცავი საქართველოში. იგი ემსახურება ხელნაწერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სამეცნიერო პროდუქციის შექმნის გზით ხელს უწყობს ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდასა და განვითარებას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

მარიამ ჯაბიძე

mariamjbidze@gmail.com

598 175 777; 577 977 199

თამარ გურგენიძე

friends@manuscript.ac.ge

599 899 628